საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

სულხან ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. კ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.01.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 002/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ჯ-ის მიმართ სიითი /№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ჯ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 17 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. კ-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ჯ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან როგორც თავისი ბიძაშვილის რ. კ-ის წარმომადგენელმა საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა ადვოკატს თ. ჯ-ს და მათ წერილობით გააფორმეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც მას არ წაუკითხავს.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა თ. χ-მ როდესაც საქმე აიღო უთხრა, რომ მომსახურებისათვის უნდა გადაეხადა 2000 (ორი ათასი) ლარი, მეორე დღეს კი, როდესაც ადვოკატი გაეცნო საქმეს, მან შეცვალა ანაზღაურების პირობები და მოითხოვა კიდევ 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი. მას ამ დროისთვის 2000 (ორი ათასი) ლარი უკვე გადახდილი ჰქონდა ადვოკატისათვის და კიდევ გადასცა 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი თ. χ მას მომსახურებას უწევდა მის პირად საქმეშიც, დავა მიმდინარეობდა მასსა და საადვოკატო ბიუროს ,,----" შორის. მას სურდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიემართა სასამართლოსთვის. ადვოკატმა საქმე სიხარულით აიღო და საადვოკატო მომსახურების თანხის სახით დასაწყისში მოითხოვა მიზერული თანხა 500 (ხუთასი) ლარი, შემდეგ კი მოგებული თანხის 15%. რაღაც პერიოდის შემდეგ მას დაურეკა ადვოკატმა და მოსთხოვა კიდევ 300 (სამასი) ლარის დამატება და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე ხელი მანქანაში მოაწერინა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველ საქმეზე უთანხმოების შემდეგ ადვოკატმა თავად თქვა უარი მის მომსახურებაზე. ის ადვოკატის ქმედების შედეგად იძულებული გახდა დათანხმებოდა მოპასუხე მხარეს მორიგებაზე, მაშინ როდესაც მისი საქმე იყო მომგებიანი. ადვოკატმა მის მიერ მიწოდებული მტკიცებულებები საქმეში არ ჩადო, მუდმივად აშანტაჟებდა მტკიცებულებების არ ქონით და ფსიქოლოგიური ზეწოლით აიძულებდა მისთვის წამგებიანი ნაბიჯის გადადგმას.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი ადვოკატი იცავდა მის მიერ ნაწარმოებ საქმეზე მოპასუხე მხარის ინტერესს. ადვოკატი სასამართლოს სხდომებზე ეუბნებოდა შემდეგ ფრაზებს: ,,შენ ხარ ბრმა - ყრუ - χიუტი, მე შენ ვერაფერი შეგაგნებინე"; ,,რომ თავად გამოცდილი ადვოკატია და სხდომის გახსნისთანავე მოსამართლის თვალებში წაიკითხა, რომ საქმე წაგებული მაქვს"; ,,1000 ლარია ის მაქსიმუმი, რაც შეიძლება მოითხოვო"; ,,იქნებ შევეცოდოთ მოსამართლეებს და საადვოკატო ბიურო დაითანხმოს ამ თანხის გადახდაზე"; ,,მტკიცებულებები იმიტომ არ ჩადო საქმეში, რომ მოსამართლეები მაინც არ დაიχერებენ"; ,,შენ მეცოდები ამდენი თანხები გაქვს დაკარგული და იქნებ ეხლა გადახდილი ბაჟი 300 აშშ დოლარი მაინც დაიბრუნოო"; ,,ოღონდ დამთანხმდი 10 000 (ათი ათასი) ლარის მოთხოვნაზე და მე არც ერთი კაპიკი არ მინდა".

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს განუმარტა, რომ არასოდეს დათანხმდებოდა 10 000 (ათი ათას) ლარზე მორიგებას თავმოყვარეობიდან გამომდინარე. ადვოკატი ემუქრებოდა, რომ თუ არ დათანხმდებოდა მის წინადადებას, მაშინ საქმეს წააგებდა და მისი სახელი აღარ ეხსენებინა. ადვოკატი ეუბნებოდა, რომ ის იყო ,,გამომძალველი, პრეტენზიული, რომ არ იცის ადამიანის შეცოდება, რომ კასაციას მაინც წააგებდა და რა ზიანი მიადგა?".

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის განმარტება, რომ მისი საქმე იყო არაპერსპექტიული სიმართლეს არ შეესაბამება. თუ მართლაც ასე იყო, ადვოკატს, რომელიც

იმავდროულად იყო მისი მეგობრის შვილი, ეს საქმე არ უნდა აეღო და სარჩელით საერთოდ არ უნდა მიემართა სასამართლოსათვის.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მას აცნობდა მოპასუხე მხარის შეთავაზებას მორიგებაზე, ჯერ ეს იყო 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი, შემდეგ 14 000 (თოთხმეტი ათასი) აშშ დოლარი, შემდეგ 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარი და ბოლოს 25 000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი, რასაც ის დათანხმდა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, მორიგების პროცესი შედგა 21.01.2016 წელს. ის დილის 9 საათზე დაიბარეს TBC ბანკის სათაო ოფისში, მას თან ახლდა ნათესავი, რის გამოც ადვოკატმა აღშფოთება ვერ დამალა. მათ დახვდათ ადვოკატი, დ. გ. და შეირაღებული კაცი, რომელსაც თანხა ჰქონდა. მორიგების აქტის გაფორმების შემდეგ თანხა შეირაღებულმა კაცმა გადასცა ადვოკატ თ. ჯ-ს და ელოდებოდნენ ფართის ყადაღისაგან გათავისუფლებას, როდესაც ყადაღა მოიხსნა, ადვოკატმა მას უთხრა, რომ თანხა ბანკში შეეტანა, რაზეც მან უარი განუცხადა და ნათესავის სახლში მივიდა, სადაც ადვოკატმა მისცა თანხა და მოსთხოვა თანხის 15%. მომჩივანის განმარტებით, რადგან ადვოკატის წვლილი ამ თანხის მიღებაში საერთოდ არ იყო, მან უთხრა, რომ გადასცემდა 1500 (ათას ხუთას) ლარს, მან ეს თანხა მართლაც გადასცა ადვოკატს.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დაიწყო ყვირილი, გალანძღა, უწოდა ხარბი და გამომძალველი. შემდეგ კერძო აღმასრულებლით მისი ანგარიში დაბლოკა და სასამართლოში უჩივლა ჰონორარის გადახდის მოთხოვნით.

1.12 საჩივრის ავტორმა 2017 წლის 06 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ ადვოკატის წერილობით ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტი, რომ თითქოს ადვოკატმა 2000 (ორი ათასი) ლარი მას უკან დაუბრუნა, სიმართლეს არ შეესაბამება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2017 წლის 08 თებერვალს ადვოკატმა თ. ჯ-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიზანია მისთვის გადასახდელი საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდისაგან თავის არიდება, რომელიც მას სრულად დაეკისრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საჩივარში გამოყენებული ტერმინოლოგია არ შეესაბამება მის ლექსიკას და ეკუთვნის საჩივრის ავტორს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, 2013 წლის ზაფხულში საჩივრის ავტორმა მისი ნათესავის რ. კ-ის საქმეზე მას მიმართა იურიდიული დახმარების მისაღებად კომპანია ჯ. მ.-ს წინააღმდეგ, საქმეს მის ჩართვამდე აწარმოებდა სხვა ადვოკატი. მათ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმეს 30.07.2013 წელს. საქმე იძლეოდა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესაძლებლობას, თუმცა წინა ადვოკატის მიერ გაშვებული იყო საქმის წარმოების ის სტადია, როდესაც ამის საპროცესო შესაძლებლობა არსებობდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა იმ ფარგლებში, რაც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ განსაზღვრა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ აპელაციაში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა შეამცირა იმ დასაბუთებით, რომ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას ლ. კ.-მ და მისმა წარმომადგენელმა დავის ერთ-ერთი საგნის ღირებულება შეათანხმეს მოწინააღმდეგესთან. სწორედ ამ ფარგლებამდე შეამცირა სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ლ. კ-მ მასთან ანგარიშსწორება განახორციელა არა იმ პირობით, რაზეც ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, არამედ ისე, როგორც მისთვის უფრო სასარგებლო იყო. ადვოკატი განმარტავს, რომ რადგან სასამართლოს პრაქტიკის თანახმად იურიდიული მომსახურების მეორე მხარისათვის დაკისრების მოთხოვნა კმაყოფილდება 2000 (ორი ათასი) ლარის ფარგლებში, ამ საბუთის შესაქმნელად ლ. კ-მ მას თანხა ჩაურიცხა ანგარიშზე, რომელიც შემდეგ დაუბრუნა ლ. კს.

2.7 ადვოკატის განცხადებით, როდესაც ის გაეცნო საქმეს სს ,,----“ წინააღმდეგ, მან აუხსნა კლიენტს, რომ საქმის მოგების პერსპექტივა ძალიან დაბალი იყო, მაგრამ მოპასუხე მხარის - ადვოკატ დ. გ-ს ქცევამ გადააწყვეტინა ამ საქმეშიც გაეწია ლ. კ-თვის იურიდიული მომსახურება. მან სარჩელის წარდგენასთან ერთად სასამართლოს მიმართა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. საქმე აგებული იყო მხოლოდ ლ. კ-ის ნაამბობზე ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე და მხოლოდ ახსნა-განმარტება ვერ გახდებოდა კომპანიისათვის 100 000 (ასი ათას) ლარზე მეტი თანხის დაკისრების საფუძველი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მხოლოდ უმნიშვნელო თანხა დააკმაყოფილა კომპანიის წინააღმდეგ. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლეები იზიარებდნენ საჩივრის ავტორის მდგომარეობას, მაგრამ ურჩევდნენ დათანხმებულიყო მორიგებას. რადგან ლ. კ ვერ ერკვევა საპროცესო სამართლის სპეციფიკაში და არ იცის ის სამართლებრივი თუ საპროცესო შეზღუდვები, რაც სასამართლოში საქმისწარმოებას ახლავს, ადვოკატი - როგორც მისი წარმომადგენელი, ურჩევდა მორიგებოდა მოპასუხე მხარეს.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ლ. კ-მ მათ შორის გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მის მიერ მიცემული განმარტებისა და ხელშეკრულების დეტალურად შესწავლის შემდეგ.

2.9 ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს პროცესზე მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლები მოსარიგებლად მათ სთავაზობდა 10 000 (ათი ათას) ლარს, რასაც ლ. კ არ დათანხმდა. ამ დღეს სააპელაციო სასამართლომ გადადო გადაწყვეტილების გამოცხადება. იმავე დღეს მას ტელეფონით დაუკავშირდა კომპანიის წარმომადგენელი პ. ს და თანხა 15 000 (თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარამდე გაზარდა. მან ეს აცნობა კლიენტს და ლ. კ-მ კვლავ უარი

განაცხადა მორიგებაზე. რამდენიმე საათში მას კვლავ დაუკავშირდა პ. ს და შესთავაზა 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარი, კლიენტმა ამ თანხაზეც უარი განუცხადა.

2.10 ადვოკატის განცხადებით, მას მოპასუხის ქმედებას გაუჩინა იმის ფიქრის ვარაუდი, რომ მხარეს მორიგების თანხის გაზრდას აიძულებდა მათ ოფისზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, მაგრამ არსებობდა ამ სამართლებრივი ბოჭვის გადაჭრის პროცესუალური გზა, მაგალითად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან საპასუხო უზრუნველყოფის მოთხოვნის შესაძლებლობა. თუ მოპასუხე გამოიყენებდა ამ შესაძლებლობას და სასამართლო დააკმაყოფილებდა, ის არანაირ მორიგებაზე აღარ წამოვიდოდა. ის, როგორც ადვოკატი, ამ რისკებს კლიენტს უმარტავდა, მაგრამ ლ. კ-ს ეს არ ესმოდა.

2.11 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს სთხოვა თავად შეხვედროდა მოპასუხეს, დ. გ-ს და მოლაპარაკებოდა, რაზეც კლიენტმა უარი განუცხადა და მასთან შეთანხმებით ის თავად შეხვდა მოპასუხეს. დ. გ. დაეთანხმა სასამართლოში ლ. კ-ის მიერ გაჟღერებულ მორიგების პირობას 25 000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის გადახდას და სთხოვა ეს შეთანხმება მეორე დღესვე დაესრულებინათ.

2.12 ადვოკატმა 2017 წლის 19 ივლისის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ მის წინა ადვოკატს საქმეში ვადა გაეპარა. მან კლიენტს განუმარტა, რომ რადგან ადვოკატი მას ცუდად მოექცა, სასამართლოში სარჩელს შეიტანდა, მაგრამ საქმის მოგების შანსი იყო ძალიან დაბალი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მისი კლიენტის მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ, მინიმალურად დააკმაყოფილა, რაც მათ გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში.

2.13 ადვოკატის განმარტებით, დ. გ-ს ოფისზე იყო უზრუნველყოფა გამოყენებული და ის ამ ოფისს ვერ ყიდდა. დ. გ-ს ამ თემის გახმაურება არ აწყობდა და თან უზრუნველყოფის გამო, მას ფინანსური ზიანი ადგებოდა, ამის გამო მან მათ მხარეს შესთავაზა მორიგება.

2.14 ადვოკატის განმარტებით, შეირაღებული კაცი იყო იმ პირის სახელით მოსული, ვინც ყიდულობდა დ. გ-ს ოფისს. დ. გ-მ განმარტა, რომ სანამ ქონებას აკრძალვა არ მოეხსნებოდა, მანამდე თანხას დაიცავდა ის შეიარაღებული ადამიანი - ნ. ს. დ. გ-მ მას განუმარტა, რომ ლ. კ-ს არ ენდობოდა და თანხას გადასცემდა მას და არა ლ. კ-ს.

2.15 ადვოკატის განცხადებით, მორიგების დროს კლიენტმა მიიყვანა ბიძაშვილი, რამაც ის გააღიზიანა, რადგან მანამდე ლ. კ ენდობოდა და როდესაც საქმე ფულის გადაცემის მომენტამდე მივიდა, მას აღარ ენდობოდა.

2.16 ადვოკატის განცხადებით, მორიგების აქტს კლიენტმა მოაწერა ხელი და რეესტრში ჩააბარეს უზრუნველყოფის მოხსნის განჩინება, ჯერ მოიხსნა უზრუნველყოფა, შემდეგ გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება დ. გ-სა და ოფისის მყიდველს შორის. სანამ უზრუნველყოფა მოიხსნებოდა, ის ლ. კ-თან ერთად მანქანაში ელოდებოდა საჯარო რეესტრის შეტყობინებას, ამ დროს კლიენტი ძალიან ნერვიულობდა. შეიარაღებულმა კაცმა თანხა მას გადასცა, მაგრამ

არ მიდიოდა მანამ, სანამ ბინას უზრუნველყოფა არ მოეხსნებოდა. დაახლოებით შვიდის წუთებზე ადვოკატმა მიიღო შეტყობინება, რომ ტრანზაქცია განხორციელდა, ფართს მოეხსნა უზრუნველყოფა. ამის შემდეგ შეიარაღებული კაცი წავიდა.

2.17 ადვოკატის განმარტებით, მან თანხა გადასცა ლ. კ-ს და შესთავაზა ბანკში მიყვანა, რომ ეს თანხა მას შეეტანა ანგარიშზე. ლ. კ-მ განუცხადა, რომ თანხის ბანკში შეტანა არ სურდა. ადვოკატი განმარტავს, რომ მან კლიენტს უთხრა, რადგან თანხა მიიღო, მასთანაც განეხორციელებინა ანგარიშსწორება. კლიენტმა განუცხადა, რომ მას მისცემდა მხოლოდ 1500 (ათას ხუთას) ლარს, რაზეც ადვოკატმა უთხრა, რომ ანგარისწორება უნდა მოეხდინათ ისე, როგორც ეს იყო მითითებული მისივე ხელმოწერილ ხელშეკრულებაში საადვოკატო მომსახურების შესახებ. ამის შემდეგ თ. ჯ-მ ლ. კ მიიყვანა იქ, სადაც ლ. კ-მ უთხრა. ადვოკატი განმარტავს, რომ იმ ვადის გასვლის შემდეგ, რაც ხელშეკრულებაში მათ ჰქონდათ მითითებული, მან ლ. კ-ის მიმართ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კუთვნილი საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ლ. კ-თვის გადახდის დაკისრება. პირველი ინსტანციის სასამართლომ მისი სარჩელი დააკმაყოფილა სრულად და ახლა ეს გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.

2.18 ადვოკატის განცხადებით, ლ. კ-ს მეორე საქმე მარგანეცის წინააღმდეგ უკვე ჰქონდა წამოწყებული სხვა ადვოკატის მეშვეობით, საქმე მისული იყო მთავარ სხდომამდე. როდესაც ის პროცესზე ჩავიდა, უკვე იყო მთავარი სხდომა. მანამდე სხდომის მდივანმა უთხრა, რომ საქმე იყო მოსამზადებელ სტადიაზე. მაგრამ უშუალოდ პროცესზე, როდესაც მან დააყენა შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესახებ, მოსამართლემ განუმარტა, რომ იყო მთავარი სხდომა. ამის შემდეგ ის უკვე მოქმედებდა მოთხოვნის ფარგლებში. ამ საქმეზე ჩატარდა არაერთი სასამართლოს სხდომა. მოსამართლემ ექსპერტიზის ბიურის დასკვნის თანახმად სარჩელი მთლიანად დააკმაყოფილა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოწინააღმდეგემ. მან კლიენტს განუმარტა, რომ შესაძლოა სააპელაციო სამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში არ დაეტოვებინა, რადგან ლ. კს და მისი ადვოკატს მხარისათვის თანხმობა ჰქონდათ მიცემული მარნის საფასური 19 000 (ცხრამეტი ათასი) ლარიდან მიეღოთ მხოლოდ 5000 (ხუთი ათასი) ლარი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მარნის ღირებულების ანგარიშში ზედმეტი ჰქონდათ დაკისრებული და მართლაც შეამცირა.

2.19 ადვოკატი განმარტავს, რომ მას კლიენტისათვის არაკორექტურად არ მიუმართავს და მას არ ეჩხუბებოდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი თ. ჯ არის ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი, /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ლ. კ-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 17 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013-2016 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30–ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ თ. ჯ-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი აიძულებდა მისთვის არახელსაყრელი პირობებით მორიგებოდა სასამართლოში მოპასუხე მხარეს; ადვოკატმა მის მიერ მიწოდებული მტკიცებულებები საქმეში არ ჩადო; ადვოკატმა სასამართლოს მიმართა და გადაახდევინა იმაზე მეტი ჰონორარი, რაზეც ისინი თავდაპირველად შეთანხმდნენ.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ჯ-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესხებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

5.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი”.

5.3 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კლიენტის მიერ ადვოკატისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც

საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად მიიჩნევა ადვოკატის იმგვარი საქმიანობა, როდესაც წარმომადგენლობის პერიოდში ის კლიენტის ინტერესების დასაცავად იყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაძლებლობას.

5.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე 062/15/ განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების მიხედვით (განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs. Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten) ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და, შესაბამისად, წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.“

5.6 ლ. კ-სა და ადვოკატ თ. ჯ-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა 2013 წლის 30 ივლისს. ხელშეკრულების საგანს წამოადგენდა დამკვეთისათვის (რ. კ-ისათვის, რომლის ინტერესს თავის მხრივ წარმოადგენდა ლ. კ) იურიდიული მომსახურების გაწევა დავაზე კომპანია ,,----“ წინააღმდეგ, მისი კანონიერი ინტერესის დასაცავად. ლ. კ-სა და ადვოკატს შორის მეორე საადვოკატო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმებულია 2014 წლის 14 ივლისს. ხელშეკრულების საგნად მითითებულია თ. ჯ-ის მიერ ლ. კ-თვის იურიდიული მომსახურების გაწევა დავაზე სპს ,,გ. და პარტნიორების“ წინააღმდეგ, ლ. კ-ის კანონიერი ინტერესის დასაცავად.

5.7 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, თ. ჯ-მ ლ. კ-ს იურიდიული მომსახურება გაუწია როგორც თბილისის საქალაქო, ისე თბილისის სააპელაციო სასამართლოში. მან კლიენტის ინტერესის დასაცავად სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სპს ,,გ. და პარტნიორების“ წინააღმდეგ და სარჩელის წარდგენასთან ერთად სასამართლოს მიმართა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა და მოპასუხეს აეკრძალა ქონების გასხვისება. ადვოკატი განმარტავს, რომ რადგან ლ. კ-ს არ ჰქონდა სათანადო მტკიცებულებები, ლ. კ-ის მოთხოვნის სრულად

დაკმაყოფილება სასამართლოს მიერ იყო უპერსპექტივო და კლიენტს ურჩევდა მორიგებოდა მოპასუხეს იმ პირობებით, რასაც ის სთავაზობდა. მხარეები ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილ როგორც წერილობით, ისე ზეპირ პოზიციაში თანხმდებიან, რომ ლ. კს მოპასუხე მხარემ - სპს ,,----" შესთავაზა მორიგება შემდეგი პირობებით: ჯერ 10 000 (ათი ათასი) ლარი, შემდეგ 15 000 (თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი, შემდეგ 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარი. ლ. კ განმარტავს, რომ მისთვის ეს თანხები არ იყო მისაღები და არ თანხმდებოდა მორიგების პირობებს.

5.8 ადვოკატის პოზიციით, მორიგების თანხის ზრდა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დ. გ-ს სურდა ქონების გასხვისება, რასაც ვერ ახერხებდა, რადგან ქონებაზე, მისი მოთხოვნით, გამოყენებული იყო მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება - ქონების გასხვისების აკრძალვა. კოლეგიის შეფასებით, კლიენტი იმიტომ მიმართავს ადვოკატს იურიდიული მომსახურების მისაღებად, რომ ადვოკატს გააჩნია ის ცოდნა და უნარები, რომლებიც კლიენტის საქმის წარმატებით დასამთავრებლად არის საჭირო. ადვოკატს შეუძლია შეაფასოს მტკიცებულებები და განსაზღვროს საქმის დასრულების სავარაუდო შედეგი, რაც ადვოკატმა თ. ჯ-მ განახორციელა. ამ შემთხვევაში ადვოკატ თ. ჯ-ის უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით 2016 წლის 21 იანვარს ლ. კ-სა და მოპასუხე სპს ,,----" შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლითაც სპს ,,----" აიღო ვალდებულება გადაეხადა ლ. კ-თვის 25 000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი, მორიგების აქტს ლ. კ-ის მხრიდან ხელს აწერს თავად ლ. კ. მორიგების აქტით დათქმული პირობა შესრულდა ჯეროვნად. ლ. კ.-მ მიიღო 25 000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი.

5.9 კოლეგიამ შეაფასა ლ. კ-სა და სპს ,,----" შორის სამოქალაქო დავაზე სააპელაციო სასამართლოში მორიგებით საქმის წარმოების დასრულება წარმოადგენს თუ არა ლ. კ-ის სასარგებლოდ დადებულ გარიგებას და განმარტა, რომ ლ. კ-მ მორიგების შედეგად მიიღო 25 000 აშშ დოლარი, რაც რეალურად მისთვის სასარგებლო შედეგია და მორიგების აქტს ის თავად დაეთანხმა თავისი ხელმოწერით. შესაბამისად, მორიგება წარმოადგენს ლ. კ-ის სასარგებლოდ დადებულ გარიგებას და მორიგებას საჩივრის ავტორმა მიაღწია ადვოკატ თ. ჯ-ის უშუალო მონაწილეობით და ადვოკატ თ. ჯ-ის მიერ ლ. კ-ის საქმის არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდისიერად წარმოების ფაქტი არ დასტურდება.

5.10 ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N2/XXXX-16 თ. ჯ-ის სარჩელი ლ. კ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, ლ. კ-ს თ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 3150 (სამი ათას ას ორმოცდაათი) აშშ დოლარის გადახდა. სასამართლომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად დაადგინა, რომ დამკვეთი იურიდიული მომსახურების საფასურს შემკვეთს უხდიდა ორ ეტაპად, საბაზისო თანხას, რაც წარმოადგენს იურიდიული მომსახურების საქმისწარმოების საფასურს და შეადგენს 800 (რვაას) ლარს და ჰონორარს, რომელსაც დამკვეთი იხდის დავის მის სასარგებლოდ დასრულებისას, და ამ თანხის ოდენობა განისაზღვრება მოწინააღმდეგე მხარეზე საბოლოოდ (ან ჯამში) დაკისრებული თანხის 15%

ოდენობით. სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. კ-მ თ. ჯ-ს ჰონორარის სახით გადაუხადა 1500 ლარი და დარჩენილი აქვს გადასახდელი 3150 (სამი ათას ას ორმოცდაათი) აშშ დოლარი.

5.11 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მხარეთათვის არის ორმხრივად მავალდებულებელი. თავის მხრივ, კლიენტი ვალდებულია ადვოკატს გადაუხადოს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი. კლიენტს ადვოკატთან აქვს პრეტენზია, რომ თ. ჯ მას სთხოვდა იმაზე მეტი ოდენობით საადვოკატო მომსახურების ჰონორარის გადახდას, რაზეც ისინი შეთანხმდნენ. კოლეგია განმარტავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ეთიკის კომისიისათვის აქვს პრეიუდიციული ძალა, შესაბამისად, კომისია დადგენილ ფაქტად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორს ადვოკატისათვის უნდა გადაეცა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი იმ ოდენობით, როგორც ეს სასამართლომ დაადგინა და ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა არ დასტურდება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტით, 32–ე და 33–ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N002/17 ადვოკატ თ. ჯ-ის მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე /ხათუნა გრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი /სულხან ონიანი/